შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

„ორიგინალი“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი 2019 წელი

შინაარსი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის 3

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....4

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის..5

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის..6

განმარტებითი შენიშვნები 7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2019 FY
ნეტო ამონაგები	2,357,936
საქონლის გაყიდვიდან	2,353,666
მომსახურების გაწევიდან	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-
სხვა	4,270

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,842,735
საწყისი მარაგები	111,604
მარაგების შესყიდვა	1,863,851
გადამუშავების დანახარჯები	-
საბოლოო მარაგები	132,720
საერთო მოგება	515,202

სხვა შემოსავალი	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	130,218
ცვეთა და ამორტიზაცია	523,122
ამორტიზაცია	-
საპროცენტო შემოსავალი	
საპროცენტო ხარჯი	227,397
იჯარის ხარჯი	21,504
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	345,804
სულ საოპერაციო ხარჯები	1,248,045

საოპერაციო მოგება	(732,843)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 ოქტომბერს

დირექტორი

ვლადიმერ თავაძე

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 01 იანვარი**
ფული და ფულის ეკვივალენტები	90,936	25,236
სავაჭრო მოთხოვნები	127,031	37,525
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	-	
მარაგები	132,720	111,604
- მზა პროდუქცია		
- სხვა	132,720	111,604
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	-	-
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-	-
ძირითადი საშუალებები	3,117,696	1,961,771
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(894,631)	(371,509)
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	2,573,752	1,764,626

ვალდებულებები	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 01 იანვარი**
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	257,088	(139,322)
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(82)	525
საგადასახადო ვალდებულებები	112,505	70,998
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,550,963	2,453,103
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები		-
სულ ვალდებულებები	3,920,474	2,385,304

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 ოქტომბერს

დირექტორი

ვლადიმერ თავაძე

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალი	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 01 იანვარი**
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შე	57,799	51,000
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,404,521)	(671,678)
გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა რეზერვები		
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	(1,346,722)	(620,678)
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		
სულ საკუთარი კაპიტალი	(1,346,722)	(620,678)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,573,752	1,764,626

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 ოქტომბერს

დირექტორი

ვლადიმერ თავაძე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2019 FY
მიმდინარე წლის მოგება	(732,843.23)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებით:	
არაფულადი ფინანსური დანახარჯები	
ძირითადი საშუალების ცვეთა	523,122.00
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:	
სხვა დანახარჯები	(6,799.00)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)	(89,505.79)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)	(21,116.37)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	395,803.58
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**68,661.19**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
მანქანა დანადგარების შეძენა	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გაცემული სესხის ძირის მიღება	-
გაცემული დივიდენდი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**

	2019 FY
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	68,661.19
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	68,661.19
სავალუტო კურსის ეფექტი	(2,961.00)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	65,700.19
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25,236
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	90,936

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 ოქტომბერს

დირექტორი

ვლადიმერ ფაცაცია

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიგინალი“ დაფუძნებულია 2005 წლის 15 მარტს. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების წარმოება-რეალიზაცია რესტორნების ქსელის მეშვეობით. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ც. დადიანის ქ., №108.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელს წარმოადგენდა: ვლადიმერ თავაძე - 100%. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 57799 ლარს.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომელიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2019 წლის 31 დეკემბრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება 2019 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებიდან და აღწერილია წინამდებარე ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად საწარმოს სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2019 წლის 1 იანვარს რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიას სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ბ) სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

(გ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,

საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი"). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს *2.68*
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს *2.87*
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლისთვის *2.53*
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლისთვის *2.82*

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის

ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5-15%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა- დანადგარებზე - წლიური 15%-დან 20%-მდე, ხოლო ოფისის აღჭურვილობაზე 20%-იანი განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და შენახვის ხარჯებთან.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავლები

საწარმოს შემოსავლების 100% ფორმირდება მის მიერ გაწეული მომსახურებისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისგან, რომლის რეალიზაციაც საქართველოს საგადასახო კოდექსის შესაბამისად ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადის დაბეგვრას.

კომპანიას ჰყავს შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებული თანამშრომლები რომელთა რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 31 კაცს, ხოლო 2019 წლის მონაცემებით 19 კაცს; კომპანიას აქვს ჩვეულებრივი საოპერაციო იჯარით აღებული ფართი, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისაგან, რომელსაც იყენებს საწარმოო, სასაწყობე, საოფისე და სავაჭრო (რესტორნები) ფართებად; სესხის პროცენტის ხარჯი წარმოადგენს მოკლევადიან სასესხო ვალდებულებებზე დარიცხულ პროცენტს, რომელიც გაანგარიშებულია შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების „გრაფიკის“ მიხედვით.

5. მარაგები

საწარმოს მარაგები ძირითადად მოიცავს წარმოებისათვის აუცილებელ საკვებ პროდუქტებს, შესაფუთ მასალებსა და სარეალიზაციოდ განკუთვნილ მზა პროდუქციის მარაგებს.

6. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად და ფასს-ის 35-ე მუხლის გათვალისწინებით.

ფასს მსს-ზე გადასვლისას არ განხორციელებულა არსებითი კორექტირებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ კლიენტი (ძირითადად საუბარია კორპორატიულ კლიენტებსა და ისეთ იურიდიულ პირებზე, რომლებიც ახორციელებენ გადახდებს

ყოველკვირეულად, ყოველთვიურად ან სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად და არა მომსახურებისა თუ პროდუქციის მიწოდებისთანავე) მთლიანად არ გადაიხდის მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას. თუმცა, კომპანია დამფუძნებლის სასესხო სახსრებით ახერხებს არსებული და მოსალოდნელი ლიკვიდურობის რისკის მართვას.

კომპანიის მენეჯმენტი სრულყოფილად ახერხებს ნებისმიერი საოპერაციო თუ ფინანსური რისკების მართვას, რაც დასტურდება კოვიდ 19-ის პანდემიის მიერ გამოწვეული სირთულეების სრულად გადალახვით.

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 29 ოქტომბრის თარიღისათვის.

2019 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 ოქტომბერს

დირექტორი

ვლადიმერ თავაძე